საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
მანათლებლის ხარისხის მანვითარების
ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 4 20 0001185219

10/12/2020

საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ
სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო სალომე,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2020 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ, კერძოდ:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში სულ შემოვიდა 48 (ორმოცდარვა) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, შესაბამისად, უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებაც არ მიღებულა. ამჟამად წარმოებაშია 1 განცხადება.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაკმაყოფილდა 32 განცხადება. მათ შორის, 2 განმცხადებელს უარი ეთქვა კორესპონდენციით წარმოდგენილი მოთხოვნების იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა არა საჯარო, არამედ პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და არ იყო სახეზე ამავე კანონით დადგენილი პერსონალური მონაცემების გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2 განცხადება დარჩა დაუკმაყოფილებელი, რადგან მოთხოვნილი იყო არა საჯარო, არამედ მხოლოდ პერსონალური ინფორმაციის გაცემა. ცენტრის ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის თაობაზე შემოსული 1 განცხადება ასევე არ დაკმაყოფილდა, რადგან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განმცხადებელი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა 12 განმცხადებელს, ვინაიდან წარმოდგენილი საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობა/დამუშავება სრულად სცდებოდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს.

კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

აქვე გაცნობებთ, რომ 2015 წლის 10 მარტიდან, ცენტრის დირექტორის №172 ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ცენტრის სპეციალისტი - ნინო მეგენეიშვილი.

გ) რაც შეეხება საჯარო მონაცემთა ბაზების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნას, ასევე, პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე ინფორმაციას, მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 12 ივლისს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №145/ნ ბრძანებით ცვლილება განხორციელდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის 127/ნ ბრძანებაში. აღნიშნული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ რეესტრს აწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - მართვის სისტემა). ამ ცვლილების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება აღარ განეკუთვნება ცენტრის კომპეტენციას და იგი სრულად გადავიდა მართვის სისტემის ფუნქციაში. ამრიგად, 2020 წლის განმავლობაში ცენტრი არ ფლობდა და არც მიმდინარე პერიოდში ფლობს კანონის აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ მონაცემთა ბაზებს.

დ) 2020 წლის საანგარიშო პერიოდში ცენტრის 5 თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - შენიშვნა, მათ შორის, ერთი თანამშრომლის მიმართ - ორჯერ. ასევე, ერთი თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - გაფრთხილება. ერთ თანამშრომელს, პირველ ეტაპზე, გამოეცხადა -შენიშვნა, შემდეგ - გაფრთხილება, ხოლო მესამე შემთხვევის დაფიქსირებისას იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სამი თანამშრომლის შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებიდან გასულია 3 თვე და ცენტრის შინაგანაწესის თანახმად, ისინი ამჟამად ითვლებიან დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონე პირებად. ამ ეტაპისთვის ერთ თანამშრომელთან ფიქსირდება დისციპლინური გადაცდომა და მას შეფარდებული აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - „შენიშვნა“.

ე) ცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ასევე, სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზს წარმოადგენდა სწორედ საჯარო ინფორმაციად არმიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, რაც ზემოთ იქნა აღნიშნული). ამდენად, რელევანტური საკანონმდებლო აქტების გამოყენების საჭიროებაც არ დამდგარა.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდას, ადგილი არ ჰქონია. ასევე, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაწეულა.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ